



**განათლების
საინსის მანქითაჩის
ეროვნული ცენტრი**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

07.02.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

06.03.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	23
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	32
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	40
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	49

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აკიმ ალბრეხტი, ვესტფალიის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მახაროზლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი ექსპერტი)

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სამართალი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	law
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 291499, March 26, 2021
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მითითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტს აქვს სამართლის პროგრამის განხორციელების დიდი ისტორია და ტრადიცია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი აფილირებულია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამართლის ფაკულტეტის უფლებამონაცვლეა, რომლის საგანმანათლებლო პროგრამა 1979 წლიდან ანიჭებდა სტუდენტებს იურისტის კვალიფიკაციას „იურისპრუდენციის“ სპეციალობით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეფორმების შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 2005 წლიდან ხორციელდება. ამჟამად მოქმედი პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2021 წლის 12 მარტს. პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და პროგრამისა და სილაბუსების, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის თანახმად, რეკომენდაციები შესრულდა.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სტრუქტურირებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების გამომუშავებას და იმ კვალიფიკაციის შექმნას, რასაც პროგრამა და მისი შედეგები გულისხმობს.

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამა შეესაბამება სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მახასიათებლებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი, მოცულობა 240 ECTS კრედიტი, (1 კრედიტი - 25 საათი, რომელიც მოიცავს როგორც კონტაქტურ, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათებს), ხოლო სემესტრში 30 კრედიტი.

თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა შეესაბამება მასალის სირთულეს, რაოდენობას და სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანამედროვე მეთოდოლოგიასა და სპეციფიკას.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსების წარმატებით დაუფლებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამას ჰყავს პროგრამის მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებაზე და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე. ასევე აშკარაა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში და პროგრამის შესაბამისობა მათ საჭიროებებთან.

პროგრამის რაოდენობრივი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამა მდგრადია, ჰყავს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადეკვატური რაოდენობით, და

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

აფილირებული პერსონალის დიდი რაოდენობით. თითქმის არ ფიქსირდება პერსონალის დენადობა.

პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, მიმდინარე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, მუდმივად განიხილავენ პროგრამის შემუშავებას, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და ახალ სასწავლო კურსებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებაში.

ბაკალავრიატის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან 24 კრედიტი უცხოენოვან კომპონენტს ეთმობა. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით, პროგრამაში შემუშავდა და განხორციელდა ინგლისური ენის კურსები, ასევე გერმანელი პროფესორი დაინიშნა პროგრამაზე მომუშავე პერსონალის პოზიციაზე. სპეციალობის ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს 200 კრედიტი ენიჭება, საიდანაც 158 კრედიტი ენიჭება ძირითად კურსებს, 42 კრედიტი – არჩევით კურსებს და 16 კრედიტი – თავისუფალ კურსებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2023 წლის 7 თებერვალს აკრედიტაციის მამიებლის შენობაში, თბილისში, ექსპერტთა ჯგუფის სამ წევრთან და NCEQE-ის წარმომადგენლებთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შეხვედრას ზუმით ესწრებოდა. ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი იკრიბებოდა ონლაინ რეჟიმში, რათა განეხილათ პროგრამის ძირითადი მიგნებები, ასევე ძირითადი სფეროები, რომლებიც უნდა შეესწავლათ ადგილზე ვიზიტის დროს, მოწოდებული დოკუმენტების, პროგრამის შესწავლისა და სილაბუსების საფუძველზე.

ატმოსფერო იყო კონსტრუქციული და მეგობრული. ყველა კითხვას გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აკრედიტაციის პროცესი დაიწყო საქართველოს დროით დილის 10 საათზე, ჩატარდა ტური, რომლის ფარგლებშიც მოხდა დაკვირვება პროგრამის მატერიალურ ტექნიკურ რესურსებზე.

გასაუბრების მიზნით, შეხვედრები ჩატარდა ჩამოთვლილ წარმომადგენლებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- თვითშეფასების გუნდი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები
- აკადემიური პერსონალი და ხელმძღვანელები
- მოწვეულ პერსონალი
- დამსაქმებლები
- დასათვალიერებელი ტურის დროს, შემოწმდა საბიბლიოთეკო რესურსები (სახელმძღვანელოები და ჟურნალები), ასევე კომპიუტერული რესურსები, ელექტრონული მიების საშუალებები, იმიტირებული სასამართლოს დარბაზი და მონაცემთა ბაზებზე წვდომის ტერმინალები.
- სტუდენტები
- კურსდამთავრებულები

დღე დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველადი მიგნებების პრეზენტაციით. უსდ-ს წარმომადგენლებთან დამატებითი შეხვედრის ჩანიშვნა არ გახდა საჭირო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა შეფასდა, როგორც სტანდარტის მოთხოვნებთან „შესაბამისობაში“ მყოფი. აკრედიტაციის პროცესის შემდგომ, აშკარაა რომ პროგრამამ განიცადა წინსვლა, რასაც მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ. კვლავ რჩება მცირე რაოდენობის გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სტანდარტის კომპონენტების რეკომენდაციებსა და რჩევებში, თუმცა საერთო ჯამში, პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ:

სტანდარტი 1 შეესაბამება პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს, აქედან სტანდარტის 1.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო ყველა სხვა კომპონენტი - შესაბამისობაშია.

სტანდარტი 2- შესაბამისობაშია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, მისი თითოეული სტანდარტის კომპონენტი შეფასდა, როგორც - „შესაბამისობაშია“.

სტანდარტი 3 - შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, აქედან ერთი კომპონენტი, კერძოდ 4.3 - მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, აქედან ერთი კომპონენტი 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მიეთითოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები.
- გაიზარდოს პერსონალის განვითარებაში პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენება და შეფასების შედეგები აისახოს პერსონალის განვითარების აქტივობებში.
- რეკომენდებულია, რომ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი მოხდეს ინდივიდუალურად და არა ერთიან ანალიტიკურ დოკუმენტში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ამოწმებს საერთაშორისო კრიტერიუმებს პროგრამის მოდიფიკაციისთვის, შესაძლოა სასარგებლო იყოს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კურსის კლასტერების იდენტიფიცირება, რომელთა გავლის შემთხვევაში სტუდენტისთვის შესრულდება სპეციალიზებული და „სერტიფიცირებული პროფილური დარგი“, რაც დაეხმარება სტუდენტს მიიღოს სპეციალობა კონკრეტულ დარგში და ეს გამოარჩევს ამ კურსდამთავრებულს სხვა კურსდამთავრებულებისგან.

- სასურველი იქნებოდა უცხოელი მეცნიერებისა და სტუდენტების ჩართვა არსებული პროგრამისა და კურსების გაცნობაში, ახალი იდეების მისაღებად და სამიზნე ნიშნულების დასაკმაყოფილებლად.
- შეიძლება სასურველი იყოს, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მოკლედ და კონკრეტულად ჩამოყალიბება.
- სასურველი იქნება, უფრო ვრცელი, დეტალური გეგმების შემუშავება, თუ როგორ მოხდეს მორგება ინოვაციურ სწავლებასთან ელექტრონული სწავლების მეთოდებით, რომლებიც სწრაფად ვითარდება და აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, მათი კვლევის შედეგების ჩვენების შესაძლებლობით (მაგ. სტუდენტის მიერ რედაქტირებული „სამართლის მიმოხილვა“).

ვინაიდან სასწავლო პროგრამა ასევე კონცენტრირებულია ევროკავშირის სამართალზე, სასურველი იქნებოდა თუკი დაინერგებოდა პრაქტიკული კურსი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განაჩენების თაობაზე, რაც მრავალმხრივ უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ECHR-ის გადაწყვეტილებები.

- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.
- პროგრამის რესურსების შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს პროექტორების რაოდენობა კლასებში და შემდგომ გააუმჯობესოს სასწავლო მართვის სისტემის ფუნქციონალობა, როგორც ზემოთ აღინიშნა.
- კვლევის დაფინანსების მიზნით, დაინერგოს შიდა საგრანტო კონკურსები.
- სასურველია, ყველა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ჩატარდეს.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

-

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 12 მარტის #768 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები სრულად განხორციელდა პროგრამის ჯგუფის მიერ, კერძოდ:

- რეკომენდებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის (მაგალითად,

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ადმინისტრაციულ სამართალში.) და ნორმატიული მასალის დაკონკრეტებისთვის (მაგალითად, სისხლის სამართლის ნაწილი I და II ნაწილი);

- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსზე სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის მიზნისა და შედეგის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმის დანერგვა, აღნიშნული მექანიზმის ინტეგრირება სასწავლო პროცესში და ამის შესახებ სტუდენტების ინფორმირება;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის განახლება, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების წარმოებისთვის საჭირო ცოდნით, გამოცდილებით და კომპეტენციით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ამის ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება;
- გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევით, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- რეკომენდებულია, რომ სამართლის საბაკალავროს პროგრამის თანამშრომლებსაც და სტუდენტებსაც ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა საკანონმდებლო ბაზაზე. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნეს“ ვერსია ან შეიყვანოს იქ რამდენიმე ავტორიზებული მომხმარებელი, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად გამოიყენონ ვებგვერდის სერვისები, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე უნივერსიტეტის გარეთ;
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმის შემუშავება და შედეგების შესაბამისად გაანალიზება.

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ ყველა რეკომენდაცია განხორციელდა, ისევე როგორც გაითვალისწინეს რჩევები.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სამართლის დარგობრივ ნიშნულს და კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და არის მიღწევადი. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სამართლის სფეროს სპეციფიკას, ასევე უმაღლესი განათლების საბაკალავრო დონეს. რამდენადაც პროგრამის საგნები შედგენილია ისე, რომ მოიცავს სამართლის ყველა შესაბამის სფეროს და პერიოდულად ხდება მათი განახლება, პროგრამა ასახავს სამართლის დარგის თანამედროვე სასწავლო კურსს. ეს იმავდროულად ნიშნავს, რომ ამ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები სარგებელს მოუტანენ შესაძლო დამსაქმებლებს და საზოგადოებას, რამდენადაც საკმარისად მომზადებულნი იქნებიან თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, საერთაშორისო სამართლის საგნებში. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შრომის ბაზარს კურსდამთავრებულების კარგი მიმღებლობა აქვს.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულ სტუდენტებში, კერძოდ:

- მისცეს ფრთო ცოდნა სტუდენტს სამართლის საფუძვლების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებზე, საჯარო, სისხლის, კერძო და საერთაშორისო სამართალში კლასიკური და მიმდინარე ტენდენციების შესახებ, აღნიშნული მიმართულებით გამოუმუშაოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რათა შეძლოს პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით, კონკურენტულ გარემოში დამკვიდრება, შექმნილი უნარების საფუძველზე, მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გათვალისწინებით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების სამართლებრივ განვითარებაში და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.
- მისცეს ფართო ცოდნა სამართლის მნიშვნელობის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, მეთოდების, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული წყაროების, საქართველოს

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განვითარების ეტაპების და რომის სამართლის საფუძვლებზე. სიღრმისეული ცოდნა საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალში პრინციპების, თეორიების და ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებზე.

- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის და არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების და გაკეთებული დასკვნების და დასაბუთების იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით გადმოცემის უნარი.
- გამოუმუშაოს სამართლის წყაროების, ნორმების, მეთოდების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციის დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედების განხორციელების ან სხვა დასახული იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის უნარი.
- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, ადმინისტრაციული აქტების, სხვა სამართლებრივი აქტების და საპროცესო დოკუმენტების პროექტების შემუშავების, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებების და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრატეგია და ტაქტიკის უნარი.
- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი.
- გამოუმუშაოს საჭირო ინფორმაციის მოძიების და გამორჩევის უნარი, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების და სამართლებრივი საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ქართულ და უცხო ენაზე, გამოავლინოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის შესაბამისად საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
- გამოუმუშაოს იურისტის ეთიკური სტანდარტების, პროფესიული ქცევის ნორმების, ადამიანის უფლებების პატივისცემის ფარგლებში მოქმედებისა და სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.

ინტერვიუების დროს პროგრამის მიზნები განიხილებოდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები და უნივერსიტეტის საზოგადოება. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია <https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf> - უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა <https://www.sou.edu.ge/content/2/65/0/0/0>
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას. პროგრამისა და პროგრამის სასწავლო მიზნების ანალიზის საფუძველზე ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და გაგების კომპონენტი ძალიან დეტალურია, ეს არ აფერხებს შედეგის მიღწევას ან მის განხორციელებას.

საბაკალავრო პროგრამა თავისი შინაარსით, დიზაინითა და სწავლებისა და სწავლის მეთოდებით საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიაღწიონ სწავლის შედეგებს. თითოეულ კონკრეტულ კომპონენტს, რეალური დატვირთვის გათვალისწინებით, ენიჭება კრედიტები საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების ფორმით, რაც ეფუძნება სწავლების ინტერესებს. თითოეულ კომპონენტში შესასწავლი თემები დეტალურად არის განსაზღვრული და ზუსტად არის განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაო, მისი ხარისხი და მოცულობა. პროგრამის სტრუქტურა, კომპონენტების დატვირთვითა და შინაარსით ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამართლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და დარგობრივ კრიტერიუმებს. პროგრამისა და სამუშაო ბაზრის/დამსაქმებელთა საჭიროებებს

შორის კავშირების გაძლიერების მიზნით, დაწესებულების მიერ დასაქმების ბაზრის კვლევა ჩატარდა. დოკუმენტების ანალიზის, ასევე დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან დისკუსიისას, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროგრამის „სამართლის ბაკალავრის“ დიზაინზე, განაცხადეს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო და არის ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. თუმცა, ინტერნაციონალიზაციაზე რომ გავამახვილოთ ყურადღება, უცხოეთიდან შემოსული სტუდენტები და მკვლევარები, რომლებიც სარგებლობენ სწავლა/სწავლების შესაძლებლობებით, პოტენციურად მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები არიან, რომელთაც შეუძლიათ პროგრამას შემატონ განსხვავებული გამოცდილებები და იდეები. ერთი კონკრეტული სამომავლო და მდგრადი სამიზნე ნიშნული ევროპაში არის სწავლის „პროფილური დარგების“ სერტიფიცირება, „ნიშნების ფურცლის“ დანართის სახით, როდესაც სტუდენტი გაივლის მთელ რიგ ისეთ კურსებს (ძირითადი, არჩევით, თავისუფალი), რომლებიც ეხება კონკრეტული დარგის ფართო მახასიათებლებს. ეს შეიძლება გამოსადეგი იყოს შრომის ბაზარზე და იყოს ახალი და თანამედროვე მიდგომა სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის.

სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება ძირითადი და არჩევითი კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაზე. სასწავლო კურსები, (ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტი თეორიული კომპონენტის ნაწილია, პრაქტიკული კურსები სხვადასხვა დარგში (12 ECTS) აგებულია პრაქტიკული პროფილით) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი, რომელიც შეესაბამება მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, კურსდამთავრებულს აძლევს სათანადო კომპეტენციას.

ცოდნა და გაცნობიერება - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

1. აღწერს:

სამართლის არსს, მნიშვნელობას, ნიშნებს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის რეგულირების სფეროს, სამართლებრივ ურთიერთობების სახეებს, დარგებს და მასში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, სამართლის ნორმას, მის სახეებს და ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების მეთოდებს. სამართლის სისტემას საქართველოში, მის ინსტიტუტებს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განვითარების ეტაპებს. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის: წყაროებს, პრინციპებს, დარგებს და ინსტიტუტებს. რომის სამართლის საფუძვლებს, მის წყაროებს და ინსტიტუტებს, რომის სამართლის განვითარების ეტაპებს და მის მნიშვნელობას მსოფლიოში სამართალგანვითარების პროცესზე. სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს და არსებულ პრობლემებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, სისტემას, შეზღუდვის პრინციპებს, დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების თავისებურებებს. კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების ჩათვლით, ადმინისტრაციული სამართლის არსს, პრინციპებს, წყაროებს, საჯარო მმართველობის საფუძვლებს და არსს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული დავების წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებს და სათანადო ნორმების საფუძველზე მათი გადაწყვეტის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების

სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს, საკონსტიტუციო დავების წარმომშობ გარემოებებს და სამართლებრივად მათი გადაწყვეტის საშუალებებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს და მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებს, წყაროებს, ინსტიტუტებს, სახელმწიფოთაშორის ვალდებულებების გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონალურ სისტემებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაციას, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოების თავისებურებებს. კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის არსს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის რეგულირების სფეროს და თავისებურებებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების არსს და საფუძვლებს, საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის რეგულირების სფეროს, შრომის სამართლის რეგულაციებს და შრომის უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართალით დაცულ სფეროს, პრინციპებს და სამეწარმეო უფლებების დაცვის მექანიზმებს, საავტორო სამართალით რეგულირებულ უფლებებს, მათ მნიშვნელობას და დაცვის მექანიზმებს, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში, დავის წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებს და სათანადო ნორმების საფუძველზე მათ გადაწყვეტას, სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, სისხლის სამართლის არსს, პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს, სასჯელის სისტემას, სისხლისსამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს;

უნარები - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

2. ამოიცნობს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით, მსჯელობს პრობლემის გადაწყვეტის შესაბამის გზების შესახებ ზეპირი და წერიტი ფორმით, შეიმუშავებს დასკვნებს, გადმოსცემს და ასაბუთებს იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით.

3. აანალიზებს სამართლის წყაროებს, ნორმებს, მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციის დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედების განხორციელების ან სხვა დასხული იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით.

4. შეიმუშავებს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, ასევე სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებების და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრატეგიებსა და ტაქტიკას.

5. შეიმუშავებს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომია - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

6. მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებს, სამართლებრივი საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ქართულ და უცხო ენაზე, ავლენს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის დაცვით, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.

7. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს პროფესიული ქცევის ნორმების, ადამიანის უფლებების პატივისცემის ფარგლებში, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტური პრაქტიკის და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას პარტნიორ ორგანიზაციებსა და ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში ვაკანსიების შესახებ და ეხმარება წარსადგენი დოკუმენტაციის სწორად მომზადებაში. გარდა ამისა, მიღებული ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ გააგრძელონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა).

მოწოდებული დოკუმენტებისა და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება იყო თანამშრომლობითი პროცესი და უზრუნველყოფდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (პროგრამის პერსონალი, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები) ჩართულობას სხვადასხვა გზით - უშუალო მონაწილეობით პროცესში, ან სხვადასხვა მექანიზმებით მონაწილეობას, როგორცაა ბაზრის კვლევა ან გამოკითხვები.

ადგილზე ვიზიტის დროს განვიხილეთ თუ რატომ დაინერგა კონკრეტული კურსები და სხვები რატომ გაუქმდა (მაგალითად, გაუქმდა კრიპტო ვალუტის კურსი და დაინერგა საავტორო სამართალი). კურსების შემადგენლობასა და შინაარსზე პასუხისმგებელი პერსონალის განმარტებები მიღებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის აღწერილობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა, კურსის სილაბუსები;
- საჯარო და კერძო დაწესებულებების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების მონაცემები კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების შესახებ;
- აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ამოწმებს საერთაშორისო კრიტერიუმებს პროგრამის მოდიფიკაციისთვის, შესაძლოა სასარგებლო იყოს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კურსის კლასტერების იდენტიფიცირება, რომელთა გავლის შემთხვევაში სტუდენტისთვის შესრულდება სპეციალიზებული და „სერტიფიცირებული პროფილური დარგი“, რაც დაეხმარება სტუდენტს მიიღოს სპეციალობა კონკრეტულ დარგში და ეს გამოარჩევს ამ კურსდამთავრებულს სხვა კურსდამთავრებულებისგან.
- სასურველი იქნებოდა უცხოელი მეცნიერებისა და სტუდენტების ჩართვა არსებული პროგრამისა და კურსების გაცნობაში, ახალი იდეების მისაღებად და სამიზნე ნიშნულების დასაკმაყოფილებლად.
- შეიძლება სასურველი იყოს, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მოკლედ და კონკრეტულად ჩამოყალიბება.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია. პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების დრო, ასევე შეფასების პირდაპირი მეთოდები და თითოეულისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უზრუნველყოფს გამჭვირვალე და თანმიმდევრულ შეფასებას, შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს პროგრამის დონესა და დარგის სპეციფიკას.

ასევე უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში და პროგრამის პერსონალს უკვე აქვს დანერგილი შესაბამისი ინსტრუმენტი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში ყოვლისმომცველი და ინფორმაციულია, იგი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და ირიბ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში ნახსენებია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება, შეფასების გეგმა არ შეიცავს ინფორმაციას პროცესის კონკრეტულ არაპირდაპირ მეთოდებსა და მათ სამიზნე ნიშნულებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მიეთითოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS სისტემის შესაბამისად, იგი შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და კანონის დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმებით“.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის მოწყობილი და გათვალისწინებულია მომდევნო სასწავლო კურსზე მისაღები წინაპირობები, რომლებიც ადეკვატურია და გათვალისწინებული სილაბუსებში. ამრიგად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის/სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორცაა იმიტირებული სასამართლოს სხვადასხვა გარემოში ჩართვა და პრაქტიკული კურსები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ შესაბამისი პრაქტიკული უნარები სწავლის პერიოდში; პროგრამა ასევე უზრუნველყოფს შეფასების შესაბამის მეთოდოლოგიას. სტუდენტებს სთავაზობენ კვლევის მეთოდოლოგიას და კვლევის თანამედროვე და განახლებულ შესაძლებლობებს (ბიბლიოთეკა/მონაცემთა ბაზები). თუმცა, შესაძლებელია წამახალისებელი იყოს სტუდენტთა სარედაქციო ჯგუფის არსებობა, რომელსაც უხელმძღვანელებდა და დაეხმარებოდა პერსონალი, რომ გამოეცათ ონლაინ ჟურნალი, სადაც კვლევის შედეგებს წარადგენდნენ.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდასაჭერად, ბაკალავრიატის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან 24 კრედიტი ეთმობა უცხოენოვან კომპონენტს. პროგრამა გვთავაზობს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებს, რომლებსაც სწავლობენ სამი აკადემიური სემესტრის განმავლობაში (სულ 18 კრედიტი), მე-4 სემესტრში სტუდენტებს ასწავლიან მიზნობრივ ESP - სამართალს (3 კრედიტი), ხოლო მე-5-ში - იურიდიული დოკუმენტების შედგენა ისწავლება უცხო ენაზე (3 კრედიტი). კურსებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფილია და თანმიმდევრული. უცხოენოვანი კომპონენტი კარგად არის განვითარებული და საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ადაპტირდნენ საზღვარგარეთ მოხილობის დროს, შეძლონ კომუნიკაცია უცხო ენაზე, მოიძიონ უცხოენოვანი წყაროები ელექტრონული ბიბლიოთეკის მეშვეობით, ასევე მოიძიონ იურიდიულ საინფორმაციო სისტემებსა და სხვა მონაცემთა ბაზებში. ეს შესაძლებელს ხდის, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენონ უცხოენოვანი ლიტერატურა. მე-6-მე-8 სემესტრებში, ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისწავლონ გაცვლით პროგრამებზე.

სტუდენტებს არჩევით კურსებს საერთაშორისო სამართლის სფეროდან სთავაზობენ ინგლისურ ენაზე, ამ კურსებს კითხულობენ საერთაშორისო პროფესორები, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, და ასევე მის ინდივიდუალურობას.

სპეციალობის ძირითად და არჩევით კურსებს 200 კრედიტი ეთმობა, აქედან 158 ECTS კრედიტი სპეციალობის ძირითად კურსებზეა გათვლილი. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება. კერძოდ:

- 19 კრედიტი ეთმობა სამართლის საფუძვლებს, მეთოდებს (საბაზისო), ძირითად კურსებს და იურიდიული პროფესიის ზოგად საფუძველს (პროფესიული ეთიკის მე-7 სემესტრი), სტუდენტს საშუალება აქვს გაიღრმავოს ცოდნა საბაზისო არჩევით კურსებზე დაყრდნობით.
- საჯარო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსებს 33 კრედიტი ეთმობა. საჯარო სამართლისადმი მიძღვნილი კურსების ფარგლებში მოქმედებს საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, ასევე საჯარო სამართლის არჩევითი კურსი. მათ შორის განიხილება საქართველოში არსებული პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართალში ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარების საკითხები.
- 14 კრედიტი ეთმობა საერთაშორისო სამართლის ძირითად კურსებს. საერთაშორისო სამართლის კურსებში ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკული კურსი - მე-8 სემესტრში; ხოლო პრაქტიკული კურსი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს შეთანხმების ორგანოების საქმისწარმოებაში უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის ცოდნის გაღრმავებას.
- 31 კრედიტი ეთმობა სისხლის სამართლის სავალდებულო კურსებს. პრაქტიკული კურსი არის მერვე სემესტრში; სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ არჩევითი კურსები სისხლის სამართალში.
- 61 კრედიტი ეთმობა კერძო სამართლის ძირითად კურსებს. არჩევით კურსებს შორის ფართოდ არის განაწილებული მატერიალური და საპროცესო სამართლის კურსები და სტუდენტს უფლება აქვს თავისი ინტერესების მიხედვით გაამახვილოს ყურადღება არჩევით კურსებზე. პროგრამაში კურსები შემუშავებულია იმის მიხედვით, თუ რა დონის სწავლის შედეგია მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსზე – საფუძვლები, პრაქტიკა და დახელოვნება. მხედველობაში მიღებულია სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და ისინი შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას.
- 16 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კურსებს, ამ კრედიტების ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერი კურსის არჩევა სასწავლო გეგმიდან, წინაპირობების გათვალისწინებით. სტუდენტს აქვს უფლება, თავისუფალი კრედიტების მოცულობა დააგროვოს სპეციალობის არჩევითი კურსებით.

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ასევე უზრუნველყოფს ძლიერ პრაქტიკულ კომპონენტს: პროფესიული ეთიკის ძირითადი კურსი არის პრაქტიკული კურსები; საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაეროს შეთანხმების ორგანოებში სამართალწარმოების პრაქტიკული კურსი; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი; პრაქტიკული კურსი კერძო სამართალში.

პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს მიაწოდოს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა მრავალი საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და წარმატებით აწარმოოს Erasmus+ გაცვლითი პროგრამები, ამიტომ პროგრამა მოიცავს შესაბამის ენის კურსებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოისმინონ ლექციები საზღვარგარეთ; პროგრამა ასევე

ეხმარება უცხოელ სტუდენტებს ინგლისურენოვანი კურსების სწავლებით, რომელთა საერთო რაოდენობა 30 კრედიტია.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შეტანილია ახალი ინგლისურენოვანი კურსები ან ისეთი თეორიული და პრაქტიკული საკითხებია შეყვანილი კურსებში, რაც ემსახურება პრობლემატური საკითხების შესწავლას და აღმოფხვრას.

სასწავლო გეგმისა და კურსების შესახებ დისკუსიებიდან ვასკვნით, რომ კურსები კარგად არის შედგენილი და იძლევა სამართლის დარგში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ეტაპობრივად დახელოვნების შესაძლებლობას, ორიენტირებულია შრომის ბაზრის საჭიროებებზე და პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაქტიკული კურსი, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, პასუხი გასცეს იმას თუ როგორ ხდება ადამიანის უფლებების დაცვა და მართლმსაჯულების მიღწევა. პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით მოიცავს იმის სწავლებას, თუ როგორ მუშაობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორ წარიმართება იქ სასამართლო სხდომები და როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

რამდენადაც სილაბუსში ხაზგასმულია ევროკავშირის სამართლის მნიშვნელოვნება და სწავლების აუცილებლობა, ევროპის მასშტაბით არსებული დირექტივებითა და რეგულაციებით, ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლოს - მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მუშაობისა და მისი განაჩენების შესწავლას შეუძლია უფრო დიდი წვილი შეიტანოს საერთაშორისო და ევროპული სამართლის კურსებში.

პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, მუდმივად განიხილავენ პროგრამის განვითარებას და ამ პროცესში რთავენ ყველა დაინტერესებულ მხარეს. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას ეს დადასტურდა. დამსაქმებლებმა წამოაყენეს იდეა, რომ გაძლიერებულიყო პრაქტიკული კურსები. სტუდენტები დაინტერესებულები იყვნენ ინოვაციური და ელექტრონული სწავლის მეთოდებით. ფართოდ განიხილეს თუ როგორ შეიძლება ამ მიმართულებების უფრო მეტად ინტეგრირება. ინფორმაცია პროგრამის შესახებ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
- სამართლის დარგობრივი მახასიათებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები <https://www.sou.edu.ge/content/2/65/0/0/0>
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები <https://www.sou.edu.ge/images/file/1539502371--xarixis%20gaumjobesebis%20meqanizmebi%201.pdf>
- აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (Resolution# 05/01-384, 22.02.2018);
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ჯგუფის ოქმი

- საჯარო და კერძო დაწესებულებების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა დამსაქმებლების მონაცემები კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე და რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებაზე

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, უფრო ვრცელი, დეტალური გეგმების შემუშავება, თუ როგორ მოხდეს მორგება ინოვაციურ სწავლებასთან ელექტრონული სწავლების მეთოდებით, რომლებიც სწრაფად ვითარდება და აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, მათი კვლევის შედეგების ჩვენების შესაძლებლობით (მაგ. სტუდენტის მიერ რედაქტირებული „სამართლის მიმოხილვა“).
- ვინაიდან სასწავლო პროგრამა ასევე კონცენტრირებულია ევროკავშირის სამართალზე, სასურველი იქნებოდა თუკი დაინერგებოდა პრაქტიკული კურსი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განაჩენების თაობაზე, რაც მრავალმხრივ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ECHR-ის გადაწყვეტილებები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური კურსების შინაარსი და კურსებით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (კონტაქტების რაოდენობა და დამოუკიდებელი საათები) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და სპეციფიკას. იგი ითვალისწინებს სწავლებისა და სწავლის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკული სამუშაო, სემინარი და ა.შ.), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავდება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსებში.

სასწავლო კურსის უწყვეტი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება სტუდენტების გამოკითხვა. ასევე ტარდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები, რომლებიც უფრო დეტალურად იქნება განხილული მე-5 სტანდარტის შეფასებაში.

სასწავლო კურსების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამაში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო კომპონენტი ადეკვატურია ბაკალავრიატის საფეხურისთვის და ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე შეძენილ ცოდნასა და უნარებს და ეს არის წინაპირობა იმისთვის, რომ სტუდენტი დაეუფლოს ამ საგანს. კურსები სასწავლო პროცესში აერთიანებს სამართლის სფეროში არსებულ უახლეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცოდნას და მეთოდოლოგიას.

სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ის მოიცავს სამართლის სფეროში მიმდინარე მიღწევებსა და სიახლეებს, უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- საბიბლიოთეკო ფონდი;
- უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, კურსის სწავლის შედეგების რუქა და პროგრამის სწავლის შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჭიროებს შემდეგ საბუთებს/საგნებს:

- საქართველოს მოქალაქეთათვის სრული ზოგადი განათლების სერტიფიკატი – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. კანონის შესაბამისად იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნებად განისაზღვრა შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია ან მათემატიკა ან სამოქალაქო განათლება.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ ისწავლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
- პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის გზით - სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

ამრიგად, შეიძლება იმის თქმა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით; ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი შემდეგ ვებგვერდზე [https://www.sou.edu.ge/images/file/1675702797--2023_sabakalavro_samarTali_saiti.pdf].

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებგვერდი [https://www.sou.edu.ge/images/file/1675702797--2023_sabakalavro_samarTali_saiti.pdf];
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამას აქვს შემდეგი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაგება – სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული

1. აღწერს:

სამართლის რეგულირების არსს, მნიშვნელობას, ნიშნებს, სისტემას, ძირითად პრინციპებს და მასშტაბებს, სამართლებრივი ურთიერთობის ტიპებს, მასში მონაწილე სუბიექტების სფეროს, უფლებებსა და მოვალეობებს, სამართლის ნორმას, მის სახეებსა და ნორმის ურთიერთობის ეტაპებს, სამართლებრივი ნორმის განმარტების მეთოდებს; სამართლებრივ სისტემას საქართველოში, მის ინსტიტუციებსა და მახასიათებლებს; საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განვითარების ეტაპებს, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას: წყაროებს, პრინციპებს, სფეროებსა და ინსტიტუციებს; რომელი სამართლის საფუძვლებს, მის წყაროებსა და ინსტიტუციებს, რომის სამართლის განვითარების ეტაპებს და მის მნიშვნელობას მსოფლიოში სამართლებრივი განვითარების პროცესში; სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს და არსებულ პრობლემებს; ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს; შიდა დაცვის მექანიზმების სისტემას, შეზღუდვის პრინციპებს და თავისებურებებს; კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების ჩათვლით; ადმინისტრაციული სამართლის საჯარო მმართველობის არსს, პრინციპებს, წყაროებს, საფუძვლებსა და არსს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული დავების წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებსა და მათი გადაწყვეტის თავისებურებებს შესაბამისი ნორმების, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპებისა და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვის თავისებურებების საფუძველზე, სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებებს, საკონსტიტუციო დავების წარმოშობის გარემოებებს და მათი გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებებს, საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოების თავისებურებებისა და გადაწყვეტილების მნიშვნელობას; საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებს, წყაროებს, ინსტიტუციებს, სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონულ სისტემებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების დანერგვას შიდა სამართალში, საერთაშორისო და ეროვნულ სამართალს შორის ურთიერთობას, სამართალწარმოების თავისებურებებს გაეროს სახელმეკრულებო ორგანოებში და ადამიანის უფლებათა ევროპულ ცენტრში; კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის არსს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის ზოგად ცნებებსა და

პრინციპებს, კომერციული სამართლის რეგულირების ფარგლებსა და მახასიათებლებს, სახელშეკრულებო და იურიდიულად სავალდებულო ურთიერთობების არსს და საფუძვლებს, რეგულირების სფეროს, საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალს, შრომის სამართლის რეგულაციებსა და შრომითი უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, კორპორაციული კანონმდებლობით დაცულ სფეროს, სამეწარმეო უფლებების დაცვის პრინციპებსა და მექანიზმებს, საავტორო კანონმდებლობით რეგულირებულ უფლებებს, მათ მნიშვნელობას და დაცვის მექანიზმებს, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ჩარჩოს, დავების წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამისი ნორმების საფუძველზე მათ გადაწყვეტას, სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპებსა და სასამართლო წარმოების თავისებურებებს; სისხლის სამართლის არსს, პრინციპებს, დანაშაულის ბუნებასა და სახეებს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრინციპებს, სასამართლო წარმოების ეტაპებსა და თავისებურებებს;

უნარები - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული

2. არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით ამოიცნობს რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს საჯარო (შიდა და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში, მსჯელობს პრობლემის გადაჭრის შესაბამის გზებზე ზეპირად და წერილობით, აკეთებს დასკვნებს, გადმოსცემს და ასაბუთებს მათ იურიდიული ტერმინოლოგიის შესაბამისად;
3. ანალიზებს სამართლის წყაროებს, ნორმებს, მეთოდებს რათა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შეაფასოს, დაასაბუთოს პოზიცია სამართლებრივ დავაში, განახორციელოს კონკრეტული სამართლებრივი მოქმედება ან გადაჭრას სხვა დასახული სამართლებრივი ამოცანა;
4. შეიმუშავებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების პროექტებს, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, საპროცესო დოკუმენტებს, აგრეთვე საჯარო (შიდა და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროს სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს, დავის გადაწყვეტის სტრატეგიებსა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის საშუალებებისა და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
5. წინასწარ განსაზღვრული გაიდლაინების შესაბამისად ავითარებს კვლევით ან/და პრაქტიკულ პროექტებს საჯარო (შიდა და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული

6. ქართულ და უცხოურ ენებზე იურიდიული საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ეძებს და ირჩევს აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სამართლებრივ პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს და ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემებს, ამჟღავნებს ცოდნის მუდმივი განახლების უნარს უწყვეტი სწავლის პრინციპის დაცვით.
7. აცნობიერებს ადვოკატის ეთიკური სტანდარტების აუცილებლობას, მოქმედებს პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს სასამართლო პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამა თეორიულ კურსებთან ერთად მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და ზოგიერთ პრაქტიკულ კურსს, მათ შორის საჯარო სამართლის პრაქტიკულ კურსს, სამოქალაქო სამართლის პრაქტიკულ კურსს, სისხლის სამართლის პრაქტიკულ კურსს. ისინი ძირითადად მე-8 სემესტრშია დაგეგმილი. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია 9 ECTS კრედიტის მოცულობით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება იურიდიული განათლების ბაკალავრიატის საფეხურს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კურსები და იურიდიული ეთიკა სტუდენტს ეხმარება:

- დააკავშიროს მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკასთან;
- უკეთ მოემზადოს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის პრაქტიკული უნარების განვითარების გზით;
- მოახდინოს სამართლის სხვადასხვა დარგში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრას ისინი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
- განავითაროს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი უნარები და შესაძლებლობები;
- შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები რეალურ გარემოსთან დაკავშირებით;
- გააძლიეროს ცოდნა, რომელიც სტუდენტმა მიიღო თეორიული სწავლების, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად.

პრაქტიკის დამსაქმებლებთან გაფორმებულია დაახლოებით 19 ხელშეკრულება/მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის მიზნებსა და ხანგრძლივობას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგრამ ამ მემორანდუმებში არ იყო გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობა. ამიტომ მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.

წარმოდგენილია გარკვეული ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებთან, სამეცნიერო-კვლევით პროექტებთან და ა.შ., განხორციელებულ პროექტებთან და ა.შ. დაკავშირებით. ფაკულტეტზე ეწყობა სამეცნიერო-პრაქტიკული სტუდენტური კონფერენციები, სადაც ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. უნივერსიტეტი მუდმივად აფინანსებს ყოველწლიურ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებს სტუდენტებისთვის. ფაკულტეტზე სტუდენტური თვითმმართველობა ფუნქციონირებს ფაკულტეტის სტუდენტების სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების, ასევე დასვენების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მომსახურების ორგანიზების მიზნით. სამეცნიერო-კვლევით პროექტში სტუდენტების ჩართულობის საერთო რაოდენობაა 50.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსის“, „სამოქალაქო სამართლის პრაქტიკული კურსის“, „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსის“, „სამართლებრივი ეთიკის“ სილაბუსები.
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემები;

- მემორანდუმები პრაქტიკის ორგანიზაციებთან.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა;

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შეიცავს სწავლებისა და სწავლის მეთოდებს. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს მიზნების მიღწევის მეთოდებს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებზე დაყრდნობით, აღნიშნული მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის განათლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლისა და სწავლების მეთოდები ორიენტირებულია ცოდნის შეძენასა და უნარების განვითარებაზე. სწავლისა და სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგების - რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და რის გაკეთებას შეძლებს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება:

- ლექცია;
- სემინარი

- ჯგუფური მუშაობა,
- პრაქტიკული მუშაობა;
- ელექტრონული სწავლა.
- ელექტრონული რესურსებით სწავლება და სხვა

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები ავსებს და ემთხვევა ერთმანეთს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეიძლება გამოიყენოს აღნიშნული აქტივობებიდან ერთი ან მეტი ან რომელიმე სხვა აქტივობა კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე.

სწავლა-სწავლების მეთოდებში გამოყენებული აქტივობებია:

- განხილვა/დებატი;
- ურთიერთსწავლება;
- თანამშრომლობითი სამუშაო;
- PBL;
- შემთხვევის ანალიზი,
- გონებრივი იერიში;
- დემონსტრირება
- ინდუქცია/დედუქცია/ანალიზი;
- ზეპირი ახსნა;
- წერილობითი სამუშაო;
- წიგნზე მუშაობა;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- IBD;
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;
- პრაქტიკული მეთოდები;
- როლური თამაში და სიტუაციური თამაშები და ა.შ.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. თითოეული აკადემიური კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, მოქმედ დარგობრივ მახასიათებელს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ინტერაქციას როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს და თავად სტუდენტებს შორის, უზრუნველყოფს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარები. ყველა კურსს აქვს თავისი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, არის სამართლიანი ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის შესახებ“. შუალედური და საბოლოო შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და შესაძლებლობებს ან/და კომპეტენციების შეფასების მეთოდებს: წერიითი გამოცდა, წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო, შეფასების კომპონენტი აერთიანებს ერთგვაროვან მეთოდებს: ტესტი, ქვიზი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, კითხვა-პასუხი, პრაქტიკული დავალების შესრულება, საქმის გადაწყვეტა, მონაწილეობა დისკუსია-დებატებში, იმიტირებულ სასამართლოში მონაწილეობა, რეფერატი, აქტივობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას და სხვა. შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, სხვა სიტყვებით, შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.

სტუდენტის ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება 100 ქულიანი შეფასების სისტემით. იგი მრავალკომპონენტიანია და შედგება შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და საბოლოო შეფასება/გამოცდისაგან, რომელთა ჯამი შეადგენს საბოლოო შეფასებას. თითოეული შეფასების ფორმისა და კომპონენტისთვის, შეფასების საერთო ქულებიდან (100 ქულა) 60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებისთვის, ხოლო 40 ქულა საბოლოო შეფასებისთვის;

შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასების აუცილებელი კომპონენტია წერილობითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება 0-30 ქულის წერილობითი კომპონენტით. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 11 ქულა. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.

შეფასების სისტემა შემდეგია:

ა) დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:

ა.ა) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

ა.ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ა) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX)- ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის ნამუშევარი მიუღებელია და მან უნდა გაიაროს საგანი თავიდან.

სილაბუსები აღწერს კონკრეტული შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, განსაზღვრავს უშუალოდ ლექტორის მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საბოლოო შეფასების ქულა არ ემატება სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის საბოლოო და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საგანმანათლებლო კომპონენტში დამატებით საგამოცდო შეფასების ჩათვლით მთლიანად დააგროვებს 0-50 ქულას, მას ეძლევა შეფასება „F-0“. მისი შინაარსი განისაზღვრება როგორც სამართლის საბაკალავრიო პროგრამაში, ასევე აკადემიური პროცესის რეგულირების წესში, № 05/01-172, 5.08.2014, მუხლები 18-19.

თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტისთვის.

უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება. ეს განსაზღვრულია უსდ-ს ოფიციალურ დოკუმენტში, სახელწოდებით გამოცდების ჩატარების წესი, მუხლი 6. სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, სტუდენტებმა კარგად იციან გასაჩივრების პროცესი და პროცედურები. გასაჩივრების პროცესი მოიცავს შეფასების შედეგების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას

სხვა შემფასებელი/სააპელაციო კომისიის მიერ. სტუდენტები ასევე იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის დებულება №05/01-172, 5.08.2014 წ.
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარებისთვის პროგრამაში ჩართული პირებისგან და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტუდენტებმა კარგად იციან კურიკულუმის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

2014 წლის 5 აგვისტოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში No05/01-172 დადგენილებით დამტკიცდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტაციის გაცემის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისთვის.

უნივერსიტეტმა მიიღო „გადასვლის მსურველი ან/და სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადაყვანილი ან/და აღდგენილი სტუდენტების კრედიტების აღიარების წესი“ (აკადემიური საბჭოს 2010 წლის 19 მარტის დადგენილება No49.). დოკუმენტი არეგულირებს შესაბამისი კატეგორიის სტუდენტების კრედიტების აღიარების წესს. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ფაკულტეტების ადმინისტრაცია (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) მუდმივად უკავშირდება სტუდენტებს და უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას, აღნიშნული პროცედურების ეფექტურ და დროულ ჩატარებას. სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმებია:

- სასწავლო პროცესის მართვის სერვისი;
- სტუდენტური აღრიცხვის წარმოების სამსახური;
- იურიდიული კლინიკა;
- სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია (კრიმინალისტიკური ექსპერტიზის უნარ-ჩვევების შეძენა სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის გამოყენებით);
- თანამშრომლობა კარიერულ განვითარებასა და სტუდენტთა ჩართულობაზე;
- იურიდიული კლინიკის საფუძველზე პრაქტიკული სამართლის სწავლება;
- სტაჟირება-პრაქტიკა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში;
- სტაჟირება-პრაქტიკა აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში;

- სტაჟირება-პრაქტიკა და სხვა სოხუმის, გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, წახალისოს მათი კრეატიულობა და ინოვაციური იდეები, გააძლიეროს სტუდენტების შესაძლებლობები და გაზარდოს მათი სოციალური აქტივობა, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება დაგეგმონ სწავლა და გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრება, დასაქმების პერსპექტივა, კონსულტაცია და კარიერული განვითარება. ამ მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი ერთეულები:

- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახური;
- სტუდენტური თვითმმართველობა;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური;
- სტუდენტური პრაქტიკისა და კარიერული მართვის სერვისი;
- უცხო ენების ცენტრი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური პრაქტიკა და კარიერული მართვის სერვისი, რომლის პირდაპირი ფუნქციაა სტუდენტების მხარდაჭერა და ინფორმირება დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. პარალელურად, სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რის საფუძველზეც შეიქმნა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა. სამსახური ასევე ზედამხედველობს სტუდენტების პრაქტიკის პროცესს, უზრუნველყოფს პრაქტიკულ ობიექტებთან კავშირს, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში, ხოლო თემატური კონფერენციები გვაწვდის ინფორმაციას გამოცხადებული სტაჟირების ვაკანსიების შესახებ და ა.შ.

უნივერსიტეტი აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში (მაგ., Erasmus+) და საერთაშორისო პროექტებსა და იმიტირებულ სასამართლოებში (მაგ., ICC Moot Court Competition). ამ პროცესში სტუდენტებს ხელმძღვანელობს და მხარს უჭერს ფაკულტეტის დეკანი და აკადემიური პერსონალი.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და მათთან ერთად ახორციელებს პროექტებს სტუდენტებისთვის.

სტუდენტური მომსახურების ფარგლებში (როგორც აკადემიური, ასევე კლასგარეშე) ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია სტუდენტური ცხოვრებისათვის საჭირო საკითხების შესახებ. პროგრამების სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე აქვთ საორიენტაციო შეხვედრა, სადაც მათ ეძლევათ ძირითადი ინფორმაცია პროგრამების შესახებ. სტუდენტებს ეძლევათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიება. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებულ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში იურიდიული და დიპლომატიის ფაკულტეტის ფარგლებში.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებსა და ღონისძიებებს:

1) მონაწილეობა საერთაშორისო და ეროვნულ სტუდენტურ კონფერენციებში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, მაის-ივნისის თვეებში იმართება სტუდენტური საუნივერსიტეტო და ეროვნული სამეცნიერო კონფერენციები, სადაც აქტიურად არიან ჩართული როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც, საგნის პროფესორთან შეთანხმებით, ირჩევენ და წარმოადგენენ მათთვის საინტერესო თემებს.

2) სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით, თეზისები და საუკეთესო ნაშრომები ქვეყნდება ფაკულტეტის ხარჯით.

3) საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებულ სასამართლოებში, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონში სტუდენტების მგზავრობას, მათი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას და საზღვარგარეთ გამართულ ამ სასამართლოებში მონაწილეობას აფინანსებს უნივერსიტეტი, რაც დასტურდება ბილეთებით და ინვოისებით.

4) „სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახურის“ ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტული განყოფილებები ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ჭიდაობაში. სექციების ტიპები შეირჩევა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, სექციებს უძღვებიან მოწვეული პროფესიონალები, ხოლო სექციის მუშაობაში მონაწილეობა ნებისმიერი სტუდენტისთვის უფასოა. სამსახურის ორგანიზებით უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

5) სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირებს ვოკალურ-ინსტრუმენტალური და ფოლკლორული ანსამბლები, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლები, თეატრალური დასი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბები და ა.შ. აღნიშნული შემოქმედებითი კოლექტივები ყოველწლიურად ახლდება და სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სასურველი მიმართულება მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

6) სხვა აქტივობები - იმართება საჯარო ლექციები, სემინარები და ა.შ., უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საგანმანათლებლო გასვლები, ყოველწლიურად ეწყობა სეზონური თემატური სკოლები უნივერსიტეტის თვითმმართველობის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ. სსუ-ის სტუდენტები მონაწილეობენ სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებულ ბანაკებში; უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უცხო ენების უფასო კურსებს. სსუ-ში სისტემატურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო (საუნივერსიტეტო, ეროვნული და საერთაშორისო) კონფერენციები და ა.შ.

უნივერსიტეტი იყენებს მრავალფეროვან მექანიზმებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის, მათ შორის:

- დროდადრო უნივერსიტეტი ატარებს შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც სტუდენტები დეტალურად ეცნობიან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებს და დაგეგმილ ღონისძიებებს. სტუდენტები, თავის მხრივ, ადმინისტრაციას უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და სურვილებს უნივერსიტეტში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.
- განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან როგორც ელექტრონული ფოსტით, ასევე ოფიციალური გვერდებისა და სოციალური ქსელების სხვადასხვა ჯგუფების მეშვეობით. მოკლე ტექსტური შეტყობინებები - სტუდენტებისა და თანამშრომლების დროული ინფორმირებისთვის, უნივერსიტეტმა შექმნა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სერვისი. უნივერსიტეტის

ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეყვანილი ყველა სტუდენტი და თანამშრომელი იღებს ინფორმაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

- ინფორმაცია უნივერსიტეტში სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ მუდმივად განთავსებულია ორივე საგანმანათლებლო კორპუსში განცხადებების დაფებზე. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინდივიდუალურად მიიღონ ინფორმაცია დეკანებისგან, სამსახურებიდან და სტუდენტური თვითმმართველობისგან მათთვის საინტერესო თემებზე. პანდემიის დროს ელექტრონული ფოსტა იყო და ღია ყველა ფაკულტეტზე. შემოსული კორესპონდენცია მუშავდება და აისახება შესაბამის დოკუმენტებში მისამართზე f.law@sou.edu.ge.

აკადემიური პერსონალი სტუდენტებს ურჩევს შეიმუშაონ საკონფერენციო თემები და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლოებში. შესაძლებელია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადება, კონსულტაციები ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, სასწავლო კურსის სილაბუსის გათვალისწინება, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცია ადგენს კონსულტაციის განრიგს. კონსულტაციის საათები ასახულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კონსულტაციების განრიგის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია პროფესორთან ისაუბროს საინტერესო და პრობლემურ საკითხებზე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი მზადყოფნა უპასუხონ სტუდენტების საჭიროებებს საკონტაქტო საათების მიღმა და უზრუნველყონ მენტორობა როგორც აკადემიურ სამუშაოებში, ასევე კლასგარეშე პროექტებში.

ლექტორსა და სტუდენტს შორის მუდმივი კომუნიკაცია უზრუნველყოფილია ელექტრონული ფოსტის საშუალებით. შეფასებების ასახვისთვის და პროფესორებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების ინფორმირებისთვის გამოიყენება სპეციალური შიდა უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალი.

უნივერსიტეტს აქვს მონაცემთა ელექტრონული ბაზა Studlab, რომელიც აწვდის სტუდენტს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას. კომპიუტერები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე, სახელწოდებით HeinOnline, საერთაშორისო ჟურნალებითა და პერიოდული გამოცემებით სამართლის შესახებ და სხვა მონაცემთა ბაზებით. სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ უცხოენოვან ლიტერატურას საერთაშორისო სამართლებრივ ბაზებზე წვდომით. ბიბლიოთეკაში წიგნების მოძიება და შერჩევა ხდება ელექტრონული კატალოგის საშუალებით. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“ და უნივერსიტეტის მიერ შექმნილი საკანონმდებლო მაცნეს 8 მომხმარებლის კოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს ისარგებლოს ვებ სერვისით როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ადგილიდან. ფაკულტეტზე ლაბორანტს ევალება კონსულტაცია - დახმარება საკანონმდებლო გაზეთის ან ონლაინ სამართლის მონაცემთა ბაზაზე წვდომაში.

სტუდენტების ფინანსური და აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმები მოიცავს შემდეგს:

- სტიპენდიები;
- კონფერენციების მხარდაჭერა;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამაზე ზრუნვა;

- პრესტიჟულ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ჩატარებულ იმიტირებულ სასამართლოებში მონაწილეობის შესახებ ინფორმირება;
- კონსულტაცია და ფინანსური დახმარება;
- საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება და ხელმისაწვდომობა;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა იქმნება პირდაპირი არჩევნების საფუძველზე.

2014 წლის 7 მარტს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-4 სესიის No4/1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და სსუ-ის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რომლებიც ასევე ითვალისწინებს სტუდენტის უფლებების დაცვას.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულად ზრუნავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციაზე და სთავაზობს მათ სხვადასხვა სახის მხარდაჭერის ღონისძიებებს, მაგ., სასწავლო მოგზაურობის ორგანიზება მათი კულტურული და რელიგიური სპეციფიკის გათვალისწინებით და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მძიმე დემენციისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს. მათ მხარდასაჭერად უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და ფონდებთან.

სტუდენტების სოციალური მხარდაჭერა: სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში დანერგულია სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გადაიხადონ სწავლის საფასური ოთხ ეტაპად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

სტუდენტების გამოკითხვა ყოველ სემესტრში ტარდება მათი კმაყოფილების, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხისა და შესაძლო გაუმჯობესების დასადგენად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
